KA030116719598119

№ 01-7275 **19 / ივლისი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს,
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

მოგახსენებთ, რომ „სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებისას სამედიცინო კლასიფიკატორების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 12 აპრილის № 92/ნ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტი და მისგან გამომდინარე „ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 აგვისტოს №01-41/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტი ითვალისწინებს სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებისას გამოყენებული საერთაშორისო კლასიფიკატორებიდან „პირველადი ჯანდაცვის საერთაშორისო კლასიფიკატორის“ - ICPC -2-R გამოყენების ამოღებას, რაც დაკავშირებულია აღნიშნული კლასიფიკატორის გამოყენებისა და დანერგვის პროცესში არსებულ სირთულეებსა და წინააღმდეგობებთან, კერძოდ:

„პირველადი ჯანდაცვის საერთაშორისო კლასიფიკატორი“ - ICPC -2-R გამოიყენება ვონკას (WONCA) პჯდ კლასიფიკატორების კონსორციუმის WICC წევრ ქვეყნებში, საქართველო არ არის ამ კონსორციუმის წევრი ქვეყანა.

ზემოხსენებული კლასიფიკატორის გამოყენებით ინფორმაციის წარმოება და გადაცემა საჭიროებს მძლავრი ელექტრონული სისტემების არსებობასა და პჯდ საინფორმაციო სისტემის ინფრასტრუქტურის განვითარებას (საქართველო მუშაობს ელექტრონული სისტემების დანერგვის მიმართულებით, თუმცა მძლავრი ელექტრონული სისტემების ინფრასტრუქტურის განვითარებას დრო სჭირდება). შესაბამისად, იქმნება პრობლემები ICPC -2-R კლასიფიკატორის გამოყენების პროცესში.

ამავდროულად, აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა პირველადი ჯანდაცვის საკოორდინაციო საბჭოს 2019 წლის 5 ივლისის სხდომაზე. საბჭოს გადაწყვეტილებით მიზანშეწონილია, ამ ეტაპზე, შეჩერდეს „პირველადი ჯანდაცვის საერთაშორისო კლასიფიკატორის“ - ICPC -2-R დანერგვა და პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებს მოეხსნათ ICPC-2R-ის გამოყენებით სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მომზადებულ იქნა და წარმოგიდგენთ „სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებისას სამედიცინო კლასიფიკატორების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 12 აპრილის № 92/ნ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ და „ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 აგვისტოს №01-41/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტებს.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს შემდგომი ღონისძიებების განხორციელება.

დანართი: 17 ფურცელი.

პატივისცემით,